სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ მოლითი საჯარო სკოლა
LEPL Borjomi Municipality Moliti Village public School

08/12/2025

MES 8 25 0001746864

სსიპ-საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს
თავმჯდომარეს ქ-ნ ნათია ჩირიკაშვილი

ქალბატონო ნათია,

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სსიპ -ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ მოლითის საჯარო სკოლის (შემდგომში სკოლა) 2025 წლის ანგარიშს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში მოცემული ,,ინფორმაციის თავისუფლების'' თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე:

სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ მოლითის საჯარო სკოლის 2025 წლის 3 დეკემბრის N:72 ბრძანებით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სსიპ -ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ მოლთის საჯარო სკოლის საქმისმწარმოებელი არმენ არუთუნიანი.

ა) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე წარმოდგენილ იქნა 2 (ორი) განცხადება,. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სკოლაში მოთხოვნა არ შემოსულა. სკოლის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

ბ) დაკმაყოფილდა 2 (ორი) მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და არ ყოფილა მიღებული არცერთი გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

გ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა.

დ) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.

ე) სკოლას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად არ გამოუყენებია მოქმედი საკანონმდებლო აქტები.

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სკოლის წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში შეტანილ არ ყოფილა და გამომდინარე აქედან, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები სკოლას არ ჰქონია.

სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ მოლითის საჯრო სკოლის 2025 წლის წლიურ ანგარიშს აგრეთვე წარმოგიდგენთ ცხრილის ფორმით:

ანგარიში	რაოდენობა

მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე	2(ორი)
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე	0 (ნული)
გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული	0 (ნული)
მოთხოვნა საჯარო მონაცემთა ბაზის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის სხვისთვის გადაცემის თაობაზე	0 (ნული)
ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ	0 (ნული)
ინფორმაცია დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ	0 (ნული)

პატივისცემით,

სამცხე-ჯავახეთის საგანმანათლებლო რესურცენტრი /
ქალაქ ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრი /
საჯარო სკოლები / ბორჯომის მუნიციპალიტეტის
სოფელ მოლითის საჯარო სკოლა
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
არუთუნიან ალბერტ